

შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“

თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ კოდაში შპს „სან
პეტროლიუმ ჯორჯია“-ს დაქვემდებარებაში მყოფი
ავტოგასამართ სადგურის რეკონსტრუქციის

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი
2017წ

შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“

თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ კოდაში შპს „სან
პეტროლიუმ ჯორჯია“-ს დაქვემდებარებაში მყოფი
ავტოგასამართ სადგურის რეკონსტრუქციის

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი



გ. ნოზაძე

შეადგინა



მ. თოდუა

თბილისი
2017 წ

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მოპ)
თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ კოდაში შპს „სან
პეტროლიუმ ჯორჯია“-ს დაქვემდებარებაში მყოფი
ავტოგასამართ სადგურის რეკონსტრუქცია

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის ღახასიათება

1.1. მოპ-ი მუშავდება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

1.2. პროექტში გათვალისწინებულია არსებული ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია, რაც ითვალისწინებს, არსებული ოფისის შენობის დემონტაჟს და ახლის მოწყობას, ფარდულის შენობის სახურავის ბურულის შეცვლას და ავზების სარკოფაგის მოწყობას.

1.3. საინჟინრო – უბანზე გავრცელებულია თიხნარები.

1.4. მშენებლობის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 170.0 ათას ლარს, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა – 112.0 ათასი ლარია.

1.5. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაზღვრავს მშენებლობაზე სამუშაოთა განხორციელების წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მოიჯარეს შორის გადახდის საშუალებას. მათ შორის ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ფაქტიური დანახარჯების მიხედვით.

1.6. სამუშაოთა გაშლისა და მშენებლობის წარმოების თვალსაზრისით სამშენებლო ფრონტი შეზღუდული არ არის. მისი განხორციელების თვალსაზრისით მშენებლობა საშუალო სირთულისაა.

1.7. ობიექტის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე.

1.8. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური

შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით პროექტის ავტორების მხრიდან.

1.9. მშენებლობის განხორციელებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბებული და განმარტებულია მოპ-ის ცალკეულ თავებში.

2. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

2.1. მშენებლობის გეგმიური ხანგრძლივობა განისაზღვროს 6 თვით.

.

3. მშენებლობის განხორციელების ტექნოლოგიური ნორმალი

3.1. მშენებლობის კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა მოხდეს სამუშაოთა თანამიმდევრობის განსაზღვრა.

3.2. მშენებლობის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა 6 თვეა

4. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძველად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული გადაწყვეტები;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- საინჟინრო-გეოლოგიური ზოგადი მონაცემები;
- ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია;

4.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობით.

4.3. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

4.4. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამტკიცებისა და მის სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. სამშენებლო მოედანი შემოკავებული უნდა იყოს ღობით.

4.5. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

5. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

5.1. მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

5.2. სამშენებლო სამუშაოები უნდა წარიმართოს ქვეყნით მოცემული თანმიმდევრობით.

5.3. ყველაზე შრომატევად და საპასუხისმგებლო სამუშაოებად გვევლინება რკინაბეტონის სამუშაოები. მათი შესრულება აუცილებელია სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით.

5.4. მშენებლობის დაწყებისას პირველ ეტაპზე ხორციელდება მოსამზადებელი და ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები.

შემდეგ უნდა მოხდეს არსებული ოფისის შენობის დემონტაჟი და მიწის სამუშაოების განხორციელება.

მოხდეს ოფისის შენობის და საწვავის ავზების სარკოფაგის საძირკვლების მოწყობის სამუშაოები;

მოეწყოს საწვავის ავზების სარკოფაგის რკინაბეტონის კედლები;

მოეწყოს ოფისის კარკასი და კედლები;

მოეწყოს ოფისის შენობის გადახურვის ფილა;

ფარდულის შენობის ლითონის კარკასი გაიწმინდოს და შეიღებოს ანტიკოროზიული საღებავით;

მოხდეს ფარდულის და ოფისის შენობის სახურავის მოწყობა;

მოხდეს ფარდულის შენობის შეფუთვა-რემონტი;

მოხდეს საწვავის ავზების მონტაჟი;

ოფისის შენობაში კედლები შეილესოს მოსაპირკეთებელი ქვიშაცემენტის ხსნარით;

მოხდეს ტექნოლოგიური და ელექტროტექნიკური გაყვანილობა-ტექნოლოგიების მონტაჟი.

ბოლო ეტაპზე წარმოებული იქნეს სარემონტო მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

სამშენებლო ობიექტი მოწესრიგდეს და მოხდეს ობიექტის ექსპლუატაციაში ჩაბარება.

6. მოთხოვნები კადრებზე და ადმინისტრაციულ-საქონლადმოვლასთან დაკავშირებული საკითხებზე

6.1. მომუშავეთა რაოდენობის განსაზღვრა წარმოებს მუშის საშუალო წლიური გამომუშავეების მიხედვით. მშენებარე ფირმის საგეგმო მონაცემებით მის მიერ განხორციელებულ და მშენებარე ობიექტებზე მუშის საშუალო თვიური გამომუშაება უტოლდება 2.0 ათას ლარს. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება შეადგენს 112.0 ათას ლარს. მშენებლობის ხანგრძლივობა კალენდარული გეგმის მიხედვით 6 თვეა. აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ პერიოდში მშენებლობაზე ყოველდღიურად უნდა დავასაქმოთ საშუალოდ $112.0:(6.0 \times 2) = 10$ მუშა მთლიანი სამშენებლო პროგრამის შესასრულებლად. ცხადია მუშების რაოდენობა მშენებლობაზე დაძაბულობის გათვალისწინებით დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იქნება.

თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება წარმოებს მასალა-ნაკეთობებზე მოთხოვნების მომენტისათვის. მასალა-ნაკეთობები შემოგვაქვს გამოყენების მომენტისათვის და მათი აწევა წარმოებს ტრანსპორტიდანვე მათი გამოყენების სიახლოვეს

განთავსებითა და მოკლე დროში საპროექტო მდგომარეობაში ჩაწევით.

გეოდეზური კონტროლის დროს მოწმდება კონსტრუქციების შესაბამისობა პროექტთან, მათი მოწყობის პროცესში.

ჩვენი მოსაზრებები სარეკომენდაციოა. მშენებლობის პროცესში მშენებლის მიერ უნდა შედგეს ახალი კალენდარული გრაფიკი და მშენებლობის თანმიმდევრობა.

მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები უნდა შეირჩეს მშენებლობის პერიოდში.

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.

7. მოკ-ის შედგენისათვის ნორმატიული ბაზა

7.1. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

7.2. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები შენობა-ნაგებობების და საწარმოთა მშენებლობისას“.

7.3. კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მომქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან“, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1986 წელი ქართულ ენაზე.

7.4. სნ და წ III - 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“.

7.5. ს. გ. ნ - 73 „გაანგარიშების ნორმატივები 1 მილიონ მანეთ შესასრულებელ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე“.